საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1068

18/11/2020

ქ. თბილისი

მცხეთის მუნიციპალიტეტში, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" სოფ. მუხრანის და სოფ. პატარა ქანდას საკანალიზაციო სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.6 ქვეპუნქტის და მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, მცხეთის მუნიციპალიტეტში, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" სოფ. მუხრანის და სოფ. პატარა ქანდას საკანალიზაციო სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაცის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N90 (30.10.2020);
2. შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №90 (30.10.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი